ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31213621**
თარიღი: **28/12/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

სხდომის ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი

23 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია.

ფრაქციის მოადგილეები: ვლადიმერ ნანაძე, კარლო წილოსანი, ლოლიტა ურუშაძე, ნინო მშვიდობაძე.

ფრაქციის მდივანი: კარლო კვიტაიშვილი.

ფრაქციის წევრები: ბესიკ ტაბიძე, ვერიკო კვირკველია, გიორგი ხელაძე, ზაზა წულაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, დარეჯან ბურჭულაძე.

მოწვეული პირი: მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ ია მოქიამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

4. „ქალაქ ლანჩხუთში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული N2 ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ია მოქია/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28მარტისN18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ია მოქია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზანშეწონილობის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

9.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზანშეწონილობის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

10. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზანშეწონილობის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

11. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ ია მოქიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი:. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი

სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა სსიპ „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“, გენერალური დირექტორის მოადგილემ, მაგდა ბოლოთაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას“ შორის გაფორმებულ 2021 წლის 8 ოქტომბრის იჯარის ხელშეკრულებას (სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებაა - ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობა) მოქმედების ვადა ეწურება. მან ითხოვა აღნიშნული ფართის, 2022 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა. ფრაქციის თავმჯდომარე ია მოქია დაინტერესდა, თუ რა არის მათი მიზანი მოკლევადიანი ხელშეკრულების გაფორმებისას, რაზეც გია ნაჭყებიამ განმარტა, რომ ერთწლიან ხელშეკრულებას სჭირდება რეგისტრაცია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა შ.პ.ს „საქართველოს ფოსტის“ ქონების მართვისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსმა გივი კუბლაშვილმა, რომელმაც ითხოვა 5 წლით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, კერძოდ 27.06.51.006 საკადასტრო კოდზე არსებული 564 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ფრაქციის წევრმა ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიის სხდომაზე, ერთხმად იქნა გადაწყვეტილება მიღებული, რომ 5 წლიანი ხელშეკრულების ნაცვლად გაფორმდეს 1 წლიანი ხელშეკრულება, ვინაიდან იგეგმება სკვერის მოწყობა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ აღნიშნა, რომ მმართველი ძალა მუშაობს გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხზე და ასევე იქვე მდებარე სკვერის კეთილმოწყობაზე, რომელსაც შესაძლოა სხვა დანიშნულება მიეცეს.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ფოსტას 6 კვ.მ მიწის ნაკვეთი ნაცვლად 5 წლისა გადასცეს იჯარით 1 წლით.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების“ ხელმძღვანელმა რემა ღვამიჩავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ევროკავშირის პროექტის „ჰორიზონტი 2020-ის“ ფარგლებში საზოგადოება (როგორც ქართული მხარის წარმომადგენელი) გეგმავს ქ. ლანჩხუთში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის დაფუძნებას და მის აღჭურვას თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი

აპარატურით. მისივე თქმით ცენტრის დაფუძნება და ფუნქციონირება გაზრდის გურიაში მცხოვრები მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ადრეულ დიაგნოსტიკასა და პრევენციულ კვლევებზე, როგორც გეოგრაფიული ასევე ფინანსური თვალსაზრისით. განმცხადებელმა პროექტის მიზნის მისაღწევად, კერძოდ ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირებისთვის ითხოვა 15 წლით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ შუხუთში მდებარე 1782 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობების პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი, (ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნება და ფუნქციონირება. სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიზნობრივ პოპულაციისათვის სამედიცინო საერვისების უფასო მიწოდება. უახლოესი ორი წლის განმავლობაში - სამედიცინო აპარატური სახით 350 000 ლარის ოდენობით, ხოლო გადაცემული ფართის რემონტის სახით მინიმუმ 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, ასევე პროექტის განხორციელების პერიოდში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობიდან 6-8 ადამიანის დასაქმება) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას“, მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, რისთვისაც სამსახურმა განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა - 1 ლარის ოდენობით.

ფრაქციის წევრმა ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ შენობა რემონტდება, აპარატურით აღიჭურვება, ასევე დასაქმდება 5-8 ადამიანი.

ფრაქციის წევრმა დარეჯან ბურჭულაძემ ასევე აღნიშნა, რომ კვლევები გარკვეული სოციალური ფენისთვის იქნება უფასო.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ქალაქ ლანჩხუთში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული N2 ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ია მოქიამ. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის N239 დადგენილებით „სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო“.

ფრაქციის წევრმა გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება (29 მოქალაქე აწერს ხელს) რომლებიც ითხოვენ, რომ თავისუფლების ქუჩის II ჩიხს, სადაც ცხოვრობდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ქალბატონი დარეჯან ქინქლაძე, გახდეს მისი სახელობის.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ია მოქიამ. მან განმარტა, რომ მერიის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად დღეს არსებული 700 ლარისა, განისაზღვრება 800 ლარის ოდენობით.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ია მოქიამ. მან აღნიშნა, რომ პროექტი შედგენილია საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული, საკრებულოს უფლებამოსილებიდან გამომდინარე და შესულია ყველა ის გეგმა, რომელიც უნდა შესრულდეს წლის ბოლომდე.

ფრაქციის წევრმა კახა კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე ოპოზიციის მხრიდან იყო გამოთქმული შენიშვნა, თუ რატომ გამოაქვს საკითხი საკრებულოს პირველ მოადგილეს, როცა რეგლამენტით არაა განსაზღვრული, რაზეც ფრაქციის თავმჯდომარემ ია მოქიამ განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ორგანული კანონი დგას რეგლამენტზე მაღლა, ცვლილებები შესატანია საკრებულოს რეგლამენტში, თუმცა მანამდე მოქმედებს კანონი, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ორი ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს/კ 27.10.46.411 და ს/კ 27.10.46.420) და ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქუჩა N9-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27.06.52.438) შემდგომი განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ნუსხასა და გეგმაში. ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - (შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შუხუთში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27.05.44.009)) ამოღებულ იქნეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან, ვინაიდან აღნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით გადაეცემა ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას“ (ს/ნ 406080529), ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირების მიზნით.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზანშეწონილობის შესახებ ისაუბრა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამულ ბიუჯეტში 24 სოციალური პროგრამაა, რომელთა გასაცემად აუცილებელია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა და მიღება.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ აღნიშნა, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური აქტიურად მუშაობს, ძალიან კომპეტენტური და

ყურადღებიანია მოქალაქეების მიმართ და მადლობა გადაუხადა სამსახურის უფროსს თამარ ფირცხალაიშვილს. მან აღნიშნა, რომ დეპუტატობის შემდეგ ხშირად უწევს მოქალაქეებთან კომუნიკაცია, განსაკუთრებით კი სოციალურ სამსახურთან ურთიერთობა და საქმიდან გამომდინარე შეუძლია თქვას, რომ სოციალური პროგრამები არის საკმაოდ მოქნილი და მორგებული მოქალაქეების პროგრამებზე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ ფრაქციის წევრის ელისო ჭიჭინაძის შენიშვნა გააცნო ფრაქციის დანარჩენ წევრებს, კერძოდ: ონკოპაციენტებისთვის PET/ST (პეტი) კვლევა, რომელიც 3 000 ლარი ღირს. სადაზღვევო კომპანიები არ ანაზღაურებენ კვლევას. ამიტომაც მიზანშეწონილია თუ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველთათვის, მოხდება გარკვეული პროცენტით დაფინანსება. ფრაქციის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ აუცილებლად უნდა მოხდეს აღნიშნული კვლევის დაფინანსება მცირე რაოდენობით მაინც.

ფრაქციის თავმჯდომარე, ია მოქიამ აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ საკითხზე საკრებულოს სხდომაზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სოციალურ პროგრამებში სიახლეების ინიცირებისთვის გეგმავს მუშა პროცესის წარმართვას მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურთან და მუნიციპალიტეტის მერთან.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზანშეწონილობის შესახებ ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები–საკრებულოები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხი: ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზანშეწონილობის შესახებ ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ია მოქიამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები

ფრაქციის წევრმა დარეჯან ბურჭულაძემ გამოთქვა შენიშვნები, კერძოდ:

· ავტობანთან დამაკავშირებელ მაგისტრალზე ვიდეოთვალის დადგმა, ვინაიდან მძღოლები არ ემორჩილებიან წესებს და მოსახლეობას ექმნება პრობლემები;
· რეგიონალურ ჯანდაცვის ცენტრთან მისასვლელი გზის მოწესრიგება;
· მისი საკრებულოში მოღვაწეობის პერიოდში აუქციონზე გაყიდული სპორტსკოლის შენობის სანაცვლოდ უნდა მომხდარიყო ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის მშენებლობა. ის დაინტერესდა რა გაგრძელება მოყვა აღნიშნულ საკითხს. მან აღნიშნა, რომ წარსულის უკან დაბრუნება შეუძლებელია და საჭიროა ახალმა გუნდმა იმუშავოს თუ როგორ გამოასწოროს ეს საკითხი;
· მაწანწალა ძაღლების პრობლემა;
· ყოფილი სახანძრო შენობის ადგილზე მართველმა გუნდმა დაპირდა მოსახლეობას, რომ სტადიონს გაუკეთებდა, თუმცა ცნობილი გახდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაძლოა იქ სახანძრო კომპლექტი გააკეთოს, რომელსაც ექნება მცირე ზომის სტადიონი.

ფრაციის წევრმა ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ მაწანწალა ძაღლების საკითხი არის მწვავე პრობლემა და არის საუბარი იმაზე, რომ გურიის რეგიონში აშენდება ერთი ძაღლსაშენი, რაც შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტებს მოაწესრიგოს აღნიშნული პრობლემა.

· საკრებულოს წევრის კახა კვიტაიშვილის მიერ გამოითქვა შემდეგი სახის შენიშვნები:

· ქალაქის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწესრიგება, ვინაიდან დაუშვებელია საკვები პროდუქტის ქუჩაში გაყიდვა.
· თავისუფლების ქუჩაზე ნაძვის ხეების მოჭრა, რომლებიც საშიშროებას უქმნის მოსახელობას. მან აღნიშნა, რომ ზედამხედველობის სამსახურში დასკვნა დევს და საჭიროებს აღსრულებას.

საკრებულოს წევრის ვერიკო კვირკველიას შენიშვნა:

· მუნიციპალიტეტს სამი მუნიციპალური ტრანსპორტი დაემატა, თუმცა მძღოლების მხრიდან არის შენიშვნა, რომ ტრანსპორტის ტექნიკურად გამართული მუშაობისთვის აუცილებელია ჩართული იყოს მუნიციპალიტეტის მერია.

· საკრებულოს წევრის რეზო კვერენჩხილაძის შენიშვნა:

· ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიას ესაჭიროება სკამები, მაცივარი და გამათბობელი; ფრაქციის წევრმა **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მან უარი თქვა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის შენობის გარემონტებისთვის გამოყოფილ 20 ათასი ლარზე, ვინაიდან აღნიშნული თანხით შეუძლებელი იყო შენობის მოწესრიგება, თუმცა შესაძლებელია აღნიშნული თანხის იმ ადგილობრივ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმართვა, სადაც ნაკლები პრობლემაა მოსაგვარებელი.

საკრებულოს წევრის ლოლიტა ურუშაძის შენიშვნა:

· სოფელ მოედნის მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტში გათვალისწინებული იქნას სოფელ მოედნის ცენტრში გაჩერების დამატება.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ია მოქია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს"
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23 დეკემბერი **2021** წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა	შენიშვნა
1	ია მოქია	14:57		
2	ვლადიმერ ნანაძე	14 33		
3	კარლო წილოსანი	14 : 58		
4	ნინო მშვიდობაძე	14:57		
5	გოგი მორჩილაძე			საპატიო მიზეზი
6	ლოლიტა ურუშაძე	14:56		
7	სპარტაკ კვაჭაძე			საპატიო მიზეზი
8	კარლო კვიტაიშვილი	14 55		
9	ბესიკ ტაბიძე	14 56		
10	ემზარ თევდორაძე			საპატიო მიზეზი
11	ვერიკო კვირკველია	14.59		
12	გიორგი ჩახვაძე			საპატიო მიზეზი
13	გიორგი იმნაიშვილი			საპატიო მიზეზი
14	ზაზა წულაძე	14 50		
15	გიორგი ხელაძე	14 55		
16	ალექსანდრე მახათაძე			საპატიო მიზეზი
17	კახა თედორაძე			საპატიო მიზეზი
18	რევაზ კვერენჩხილაძე	15 00		
19	დარეჯან ბურჭულაძე	14 55		
20	ელისო ჭიჭინაძე			საპატიო მიზეზი.